საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/143

ქ. ბათუმი 17 ნოემბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ოქტომბრის №01-10/115 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 15 ნოემბრის №1459360 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ოქტომბრის №01-10/115 ბრძანები მე-3 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2022 წლის 21 ოქტომბრიდან 07 ნოემბრის ჩათვლით;
ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიის მიერ განხილვა - 2022 წლის 09-18 ნოემბერი;
გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსში (ბათუმი, რუსთაველის ქ. N32) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან) და ბსუ-ს ვებგვერდზე - არაუგვიანეს 2022 წლის 21 ნოემბერი;
დ) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა - არაუგვიანეს 2022 წლის 24 ნოემბერი.
2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებისა და წინამდებარე ბრძანებით მოთხოვნათა კომპეტენციის ფარგლებში აღსრულება (ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით განცხადების ტექსტის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე და პორტალზე განთავსებისათვის წარდგენა, საკონკურსო კომისიის მუშაობის მხარდაჭერა, სტუდენტთა კონსულტირება და სხვა).

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში ,,სწავლა" და ,,კონკურსები") და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. დიასამიძე